საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№6 (6798) 26 მარტი ხუთშაბათი 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ «ლეჩხუმი»

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლეჩხუმზე“ 1998 წლის პირველი ნახევრისთვის. გაზეთზე ხელმოწერის ფასია 3 ლარი. ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ „ლეჩხუმის“ რედაქციაში (ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9 საათიდან 18 საათამდე) ან შესაბამის სოფლის საფოსტო განყოფილებაში.

იჩქარეთ, ხელმოწერა შეზღუდულია.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

გაზაფხულდა

ზამთარი ვერ თმობს პოზიციას, წვიმს, მთებიდან თოვლიც გვიცქერს, მაგრამ გაზაფხულის ძალუმი სუნთქვა მაინც იგრძნობა, სიცოცხლე მძლავრობს, ყვავილები ლამისაა დასკდეს და ვერ დატიულა ნორჩ სამყოფელში..

ვერაფერი შეედრება გაზაფხულს თავისი სიდიადით, სიკასკასით, მაგრამ შრომითაა იგი ყველაზე გამორჩეული, სწორედ გაზაფხულია საძირკველი მსუყე შემოდგომის, ეკონომიკური სიძლიერისა.

დღეს, როცა საქართველოში ეკონომიური სიუხვეა, როცა წარსულს ჩაბარდა დრო, საკუთარი პროფესიითა და ხელფასით რომ ვინახავდით ოჯახსა და თავს, განსაკუთრებით პატივი უნდა ვცეთ მიწასა და შრომას, პატივი უნდა ვცეთ სოფელსა და სოფლის გამრჯეკაცს.

სოფლად ვაზის სხვლა მიმდინარეობს, შრომობს თავის იმედად დარჩენილი გლეხი, ატირებულ ვაზს ეფერება, სწორედ ვაზით გაიმართა შარშან წელში, ყურძნის საფასურით წლის სარჩოპური თუ სხვა რამ მოიმარაგა. წელს მეტის რუდუნებით უვლის. ამ გაზაფხულს მას არ უნდა ჰქონდეს საძებარი შხამქიმიკატები, სხვა აუცილებელი. კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებმა თავისდროულად უნდა იფიქრონ კირი და შაბამანი, კოლოიდური გოგირდი თუ სხვა საჭირო პრეპარატი დროულად შემოიტანონ რაიონში.

ცუდი ამინდები რომ არა ხვნა-თესვა ალბათ დაწყებული იქნებოდა. ჭალის ფართობებში განსაკუთრებით, ტექნიკის მზადყოფნაა აუცილებელი, საწვავით მისი უზრუნველყოფა. ყველამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ შეღავათიანი ფასებით მოვემსახუროთ მხვნელ-მთესველებს, აგროვადებში წარვმართოთ ხვნა-თესვა, ყველა ერთად დავირაზმოთ, რომ წელს სიმინდის, ლობიოს, სხვა მარცვლოვანი თუ პარკოსანი კულტურების კარგი მოსავალი მივიღოთ.

1998 წელი ხომ ქვეყნისთვის, მისი ეკონომიკისთვის გარდატეხის წელია. მოდით, ერთად, ხელიხელჩაკიდებული ვიშრომოთ. რომ ლეჩხუმისთვის ეს წელი ბარაქის, იმედის, სიხარულის წელი ყოფილიყოს.

სამეცნიერო სესია

ამ დღეებში განათლების განყოფილების სხდომათა დარბაზში ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ჩაატარა სამეცნიერო სესია თემაზე—„მე-19 საუკუნის ქართული პრესა ლეჩხუმის შესახებ“.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მელსი ყურაშვილმა.

სესიაზე მოხსენებებით —„გაზეთი „დროება“ ლეჩხუმის შესახებ“, „ი. ჭავჭავაძის „ივერია“ და „ლეჩხუმი“, „ჟურნალი „მწყემსი“ და ლეჩხუმის სასულიერო ცხოვრება“, „გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და ლეჩხუმის სინამდვილე“, „გაზეთი „მერცხალი“ ლეჩხუმის შესახებ“ გამოვიდნენ — მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ომარ ჭაბუკიანი, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი კუკური ლეთოდიანი, მუზეუმის ფონდების განყოფილების გამგე თინა სალინაძე, სურათების გალერეის დირექტორი ნათელა ღურჭუმალიძე, სურათების გალერეის ექსკურსიამძღოლი ქეთევან ბერიძე.

სესიაზე წარმოდგენილმა თემებმა მსმენელთა მოწონება და ინტერესი დაიმსახურა.

1998, რაიონის ეკონომიკის გარდაქმნის გადამწყვეტი წელი!

რაიონის აქტივის კრება

გაიმართა რაიონის აქტივის კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სოფლისა და ქალაქის გამგებლები, სკოლების დირექტორები, წარმოებადაწესებულებათა ხელმძღვანელები, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სამართალდამცავ ორგანოების, კერძო სტრუქტურათა მუშაკები, სხვა აქტივი.

აქტივის კრების დღის წესრიგში იდგა საკითხები:

1. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1997 წლის, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის შედეგები და 1998 წლის ამოცანები.

2. რაიონის 1998 წლის ბიუჯეტის განხილვისა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

მოხსენებებით გამოვიდნენ რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ეკონომიკის დარგში **რეზო მურცხვალაძე**, სათინანსო განყოფილების **გაშგე ნაირა ბურაძე**, რაიონის პროკურორი **მურმან ბენდელიანი**.

კამათში მონაწილეობდნენ განათლების განყოფილების გამგე **გურამ ხმელიძე**, საგადასახადო ინსპექციის უფროსი ინსპექტორი **კახა კოპალიანი**, კულტურის განყოფილების გამგე **დავით სანთელაძე**, ქვედა ცაგერის გამგებელი **გრიშა მეშველიანი**, რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი **მურმან თოთაძე**, საინფორმაციო საზოგადოება „ლეჩხუმის“ თავმჯდომარე **ცაბუ ახვლედიანი**, მიწის მართვის სამმართველოს უფროსი **მევლუდ თოდიძე**, რაიონის გამგეობის შრომისა და სოციალური დაცვის განყოფილების გამგე **გულვერ გრეგვაძე**, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **მერაბ გოგიძე**, ლტოლვილთა ფონდის ბუღალტერი **ოთარ სილაგაძე**.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ **კარლო კვირიკაშვილმა**.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა რაიონში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, მორალურ - ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი წესრიგშია, პირიქით, მდგომარეობის გამოსწორებისათვის კვლავ დიდი ამოცანები დგას ყველა მოქალაქისა თუ ორგანიზაციის, ხელმძღვანელისა თუ რიგითი მუშაკის წინაშე.

1998 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მთლიანი გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულდა 109,4 პროცენტით და 293,6 ათასი ლარი შეადგინა. მთლიან შემოსავლებში მეტია ცენტრალური ბიუჯეტის ხვედრითი წილი და 56 პროცენტს შეადგენს. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შესრულდა 118,4 პროცენტით და 164,4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შესრულდა 99,8 პროცენტით და 129,2 ათას ლარს მიაღწია. დიდი გადაჭარბებით შესრულდა დამატებითი ღირებულების, ფიზიკურ პირთა და აქციზის გადასახადების გეგმები. 1995 წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გეგმის შესრულებამ 163,2 ათასი ლარი შეადგინა, 1996 წელს—221 ათასი ლარი. ზრდის პროცენტმა შეადგინა 80 და32,9.

გასულ წელს განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი იყო მოგების გადასახადის ამოღებაში, რამაც 40 პროცენტი შეადგინა, ეს კი 9,2 ათასი ლარით ნაკლებია 1995 წლის შესრულებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავლები იმალება, ხარჯები ხელოვნურად იზრდება და მოგება თავისთავად მინიმალური რჩება. ყოველივე ამის შესახებ მიეთითა საგადასახადო ინსპექციას, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ამოცანა კვლავ რჩება, საფინანსო განყოფილებამ, საგადასახადო ინსპექციამ უზრუნველყონ დამალული შემოსავლების გამოვლენა და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

რაიონის მოსახლეობისათვის, რომლებსაც დღეს საარსებო მინიმუმი არ გააჩნია, ძნელია სამეწარმეო საქმიანობის დაწყება-განვითარება, მიუხედავად ამისა, გარკვეული ძვრები შეინიშნება.

გასულ წელს მოქმედ ფასებში წარმოებულია 4201,2 ათასი ლარის, ხოლო შესაბამარ ფასებში 2620 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც ძირითადად მიღწეულია ელექტროენერგეტიკისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, კერძოდ, მეღვინეობის აღორძინების ხარჯზე. გარკვეული ზრდაა მიღწეული სატყეო მრეწველობაში.

რაიონის ეკონომიკაში უმთავრესი წილი სოფლის მეურნეობას უჭირავს, სადაც იქმნება რეალური პროდუქტი, რაც საშუალებას იძლევა განვითარდეს გადამამუშავებელი მრეწველობა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში მიღწეულია 1995 წელთან შედარებით 12,7 პროცენტით ზრდა, ხოლო 1996 წელთან შედარებით 7,2 პროცენტით. ყოველივე ეს რაიონის მოსახლეობის ბეჯითი შრომის შედეგია.

1997 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის წლიური გეგმა 390 ათას ლარს შეადგენდა, რაც შესრულდა მთლიანად. მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, მაინც სრულდება სასიცოცხლო მნიშვნელობის სამუშაოები რაიონის საგზაო სამმართველოების მიერ.

(იხილეთ მეორე გვერდი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1998, რაიონის ეკონომიკის გარდაქმნის გადამწყვეტი წელი

(დასასრული)

საქონელბრუნვის მოცულობამ გასულ წელს 576 ათას ლარს მიაღწია და 1996 წელთან შედარებით 77,2 პროცენტი შეადგინა, დონის შემცირება ძირითადად რაციონალიზაციის ხელმძღვანელობის არასათანადო მუშაობისა და სისტემაში არსებული ჩამორჩენილობითაა გამოწვეული. კერძო სექტორში საქონელბრუნვამ შესაბამის პერიოდთან შედარებით 187 პროცენტი შეადგინა. ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნებოდა სწორი ალრიცხვა-ანგარიშგება რომ ყოფილიყო.

მოსახლეობის ფასიანმა მომსახურებამ გასულ წელს წინა წელთან შედარებით 243 პროცენტი შეადგინა და 395 ათას ლარს მიაღწია, რაც ძირითადად ხახელმწიფო სექტორის ხარჯზე მოდის.

ვერ მოხერხდა რაიონში არსებული საკვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენება. ამიტომ არსებული სიტუაცია მოითხოვს გაიყიდოს ეკონომიკურად მიზანშეუწონელი ავტოტრანსპორტი. 2 წელია ეს საკითხი რაიონის პრივატიზაციის განყოფილებაშია დაყენებული, მაგრამ დღემდე ამ მიმართებით არაფერი გაკეთებულა. ავტომანქანები აქტებით მძღოლებზეა ჩაბარებული, რომლებიც მას თავისი საჭიროებისათვის მშვენივრად იყენებენ. ხოლო საწარმოში ან ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შეაქვთ. საგზაო პოლიციას დაევალა აღნიშნულ ავტომანქანებზე ჩამოეხსნა სახელმწიფო ნომრები, მაგრამ დავალება დღემდე არ შესრულებულა.

აქტივის კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დღეს არსებულ ბევრ გადაუჭრელ პრობლემას. დღეს სახალხო განათლების სისტემაში პრობლემურია ტრანსფერით გამოყოფილი თანხების უკმარისობა, რის შედეგად პედაგოგთა ხელფასების გაცემის საქმეში შეფერხებებია. მიმდინარე წელს განათლებაში მომუშავე პედაგოგებზე ხელფასების დასაცემად გამოყოფილია 387 ათასი ლარი. გასულ წელთან შედარებით 2 ათასით მეტი. იმისათვის, რომ პედაგოგებზე წლის მანძილზე სრულყოფილად გაიცეს ხელფასები საჭიროა 84 ათასი ლარით მეტი. რაიონის ბიუჯეტის დეფიციტის გამო კი საშუალება არ არის ადგილობრივი თანხებიდან პედაგოგთა დაფინანსებისა. ყოველივე ეს გამოიწვია იმან, რომ 1996-1997 წლებში განათლების განყოფილებამ, მართალია, დაწყო, მაგრამ სრულყოფილად არ განახორციელა მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება განათლების მუშაკთა საშტატო ერთეულებია შემცირების აესახებ, რის შედეგადაც საბავშვო ბაღებია და სკოლებში შენარჩუნებულია ისეთი საშტატო ერთეულები, რომლის აუცილებლობა ნამდვილად არ არის. ეს კი მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტს.

დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა სასკოლო რეფორმის განხორციელებისათვის, რის გამოც არ გაუქმდა არც ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რაც რეფორმით იყო გათვალისწინებული. ამას ისიც დაემატა, რომ ჩატარებული პედაგოგთა ატესტაციით მასწავლებელთა დიდმა ჯგუფმა მიიღო უმაღლესი შეფასება, რამაც მათი ხელფასები გაზარდა 71,3 ათასი ლარით, ესეც მძიმე ტვირთად დააწვა ბიუჯეტს. გამოსავალი იმაშია, რომ აუცილებლად უნდა გატარდეს რეფორმით გათვალისწინებული საკითხები.

ანალოგიური მდგომარეობაა კულტურის განყოფილებაში. მიმდინარე წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით გამოყოფილია მხოლოდ 10 ათასი ლარი, მაშინ, როცა გასულ წელს ანალოგიური თანხა 45 ათას ლარს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ ხელფასების მატებას, აღნიშნული თანხა ყოველ-ველ ბიუჯეტს მოთხოვნებს. ამის გამო გამგეობა იძულებული შეიქმნა დამატებით კულტურის განყოფილების ბიუჯეტი შეივსო 52 ათასი ლარით, თუმცა ეს თანხაც არ არის საკმარისი, იმის გამო, რომ კულტურის განყოფილებამ პრაქტიკულად არ განახორციელა მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები საშტატო ერთეულების 30 პროცენტიანი შემცირების შესახებ. ამის გამო ძალზე დიდია მუშაკთა რიცხვი, განსაკუთრებით ცენტრალური ბიბლიოთეკაში. ფაქტიურად არ ფუნქციონირებს სამხატვრო სკოლა, თანხები კი მაინც იკვეთა, ასევე არის შემთხვევები, როცა სოფლად კლუბები და ბიბლიოთეკები ქაღალდზე არსებობენ, მუშაკები კი ხელფასს მაინც იღებენ. ამიტომ საჭიროა წელს ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი და განისაზღვროს რა გვჭირდება, რა საშუალება გვაქვს ბიუჯეტში. რისი შენახვა შეგვიძლია, რაშიაც გადამწყვეტი სიტყვა კულტურის განყოფილების ხელმძღვანელებმა უნდა თქვას. ეს ეხება არა მარტო კულტურის განყოფილებას, არამედ, საერთოდ, ყველა საბიუჯეტო დაწესებულებას. ამაზე, ახალი, 1998 წლის ბიუჯეტის სიმცირეც გვაიძულებს ვიფიქროთ, . . . რადგან იგი თითქმის მხოლოდ ხელფასებზეა დაგეგმილი და ისიც ცრა. საკმარისი ოდენობით.

რაიონის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში 1997 წელსაც გაგრძელდა რეფორმა, რამაც გაამართლა თავისი დანიშნულება. გასულ წელს რაიონის გამგეობის ინიციატივით მოიხსნა თანგადახდა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ კატეგორიაზე, ფაქტიურად სტაციონარული მკურნალობა მწვავე დაავადებებზე უფასო გახდა, რამაც დიდი დადებითი ეფექტი მოგვცა. გასულ წელს მუნიციპალური პროგრამით სტაციონარში შესრულდა 30.000 ლარის, სულ კი რაიონში 70.000 ლარის სამუშაო.

1998 წლის 1 იანვრისათვის სამედიცინო დაწესებულებებთან დავალიანებებში დარჩა სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, რამაც გარკვეული სიძნელეები შეუქმნა რიგი სამედიცინო დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციონირებას.

რაიონის 1998 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. მისი შემოსავლები 1997 წელთან შედარებით გაზრდილია თითქმის 2-ჯერ. თუ 1997 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 260,3 ათას ლარს, წელს იგი განსაზღვრულია 480,5 ათას 220.2 ათასი ლარით მეტი. ტერიტორიული ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლის გეგმა თუ 1997 წელს 129.5 ათას ლარს შეადგენდა, წელს იგი 249,5 ათასი ლარით არის განსაზღვრული, ანუ ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა მივიღოთ 120 ათასი ლარით მეტი შემოსავალი.

შემოსავლების ზრდის ასეთი ტემპი განპირობებულია, ერთის მხრივ საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე ახალი გადასახადებით და მეორე მხრივ იმით, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ერთადერთ მთავარ წყაროდ მიჩნეულია ლაჯანურჰესიდან შემოსავლები, რომელიც გადახდის უნარიანობის შემთხვევაში დიდ შემოსავალს მოგვცემს. სამწუხაროდ ლაჯანურჰესის დღევანდელი ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ის გახდება რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო, რადგან იგი ამჟამად მუშაობს არასრული დატვირთვით, ამასთან მიმდინარე წელს გათვალისწინებულია მისი რეაბილიტაცია, რაც მისი მუშაობის შეზღუდვას გამოიწვევს.

რაიონის ბიუჯეტში დეფიციტის დაფარვის წყაროს წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტიდან რაიონის ბიუჯეტზე გადმოსაცემი ტრანსფერები, რომელიც განსაზღვრულია 584 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი 484 ათასი ლარის, საიდანაც 387 ათასი ლარი უნდა მოხმარდეს განათლებას, 10 ათასი კულტურას, 40 ათასი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს, 47 ათასი ლარი გათვალისწინებულია სოციალურ (ოჯახურ) დახმარებებზე. რაიონის მთლიანი ბიუჯეტიდან 100 ათასი ლარი, ანუ სპეციტრანსფერი განსაზღვრულია სოციალური სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის, საიდანაც 52 ათასი ლარი განათლების ობიექტების, მათ შორის 2 ათასი ლარი სპორტსკოლის შენობის და 45 ათასი კულტურის ობიექტების კაპიტალურ შეკეთებას უნდა მოხმარდეს.

წელს ბიუჯეტით ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის მუნიციპალური პროგრამით დაგეგმილია 45 ათასი ლარი, მათ შორის ტრანსფერით 40 ათასი ლარი.

1998 წლის ბიუჯეტით მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე გამოყოფილია 49,6 ათასი ლარი, არქივის შენახვაზე—1,5 ათასი, სამხედრო კომისარიატზე—1,5 ათასი, მმაჩის ბიურზე—0,7 ათასი, მუნიციპალურ პოლიციაზე—3,7 ათასი, სახანძრო რაზმზე—16 ათასი ლარი, მმართველობითი ორგანოების შენახვაზე—29.4 ათასი ლარი.

საბოლოო გამგეობათა ბიუჯეტები ისეა შედგენილი, რომ რაიონის ბიუჯეტიდან დამოუკიდებელნი არიან, მათ რაიონის ბიუჯეტიდან გადაეცემათ მხოლოდ ტრანსფერი განათლების ხაზით, რომელიც მიზნობრივად უნდა ხარჯონ მხოლოდ განათლების მუშაკთა ხელფასებსა და სოციალურიცხებში. სხვა დანარჩენი დაწესებულებების შენახვა ხელფასითა და ხარჯებით საკუთარი შემოსავლების ხარჯზე უნდა შეძლონ.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს სამართალდამცავმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს მართლწესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში. რის შედეგადაც რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. გასულ წელს მნიშვნელოვნად იკლო მძიმე დანაშაულთა რიცხვმა. თუ 1996 წელს რაიონში რეგისტრირებული იყო 18 მძიმე დანაშაული, გასულ წელს იყო 6. ამასთან ერთად საერთო დანაშაულთა რიცხვი შემცირდა 10 ერთეულით. იმატა დანაშაულის გახსნის პროცენტმა. თუ 1996 წელს გახსნის პროცენტი იყო 75, გასულ წელს მან შეადგინა 81,4 პროცენტი. მკვეთრად შემცირდა ისეთი სახის დანაშაულობები, როგორიცაა სახელმწიფო ქონების ქურდობა, განზრ[illegible] ლიდობა. სულიგზოდ, ავტოტრანსპორტის გაქურდვება და სხვა.

მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში მიღწეულთან ერთად კვლავ არის ნაკლოვანებები. სუსტია პროფილაქტიკური ღონისძიებები, საზოგადოებრიობის მონაწილეობა წესრიგის განმტკიცებაში. არის შემთხვევები, როცა სოფლად მომხდარი დანაშაულობები არ ხდება ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ პოკურატურამ რაიონული გაზეთის მეშვეობით მიმართა მოსახლეობას ეცნობებინათ მათთვის სოფლად მომხდარ დანაშაულობებზე, რაზეაც ანონიმურობა დაცული იქნებოდა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერიც მითითებული იყო, დღემდე არც ერთი შეტყობინება არ ყოფილა, მაშინ, როცა სოფლად ხდება სხვადასხვა დანაშაულობანი. აღინიშნა ისიც, რომ დღეისათვის სამართალდამცავი ორგანოების მატერიალური ბაზა, აღჭურვილობანი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელობის მოთხოვნებს. მოითხოვეს შესაბამისი სამინისტროებიდან თუ ორგანოებიდან დახმარება.

განვლილ ორ თვეში ბიუჯეტის შევსების საქმეში შედარებით კარგი შედეგები გვაქვს. იანვრის თვის გეგმა შესრულდა 138 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 20,8 ათასი ლარის ნაცვლად, მიღებული იქნა 28,7 ათასი ლარი, თებერვლის თვის გეგმა შესრულდა 103 პროცენტით, 27,2 ათასი ლარის ნაცვლად, მიღებულ იქნა 28 ათასი ლარი.

აქტივის კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პენსიონერებისა. და სოციალურად დაუცველ ადამიანებზე პენსიების, დახმარებების, მუშამოსამსახურეებზე ხელფასების დაგვიანებით გაცემის, რაიონში დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობის საკითხებს. ვრცლად იყო ლაპარაკი იმ ამოცანებზე, რომელიც დგას დღეს ყველა წარმოებისა ორგანიზაციის, სასოფლო თუ საქალაქო გამგეობის წინაშე იმ რეზერვებზე, რომელთა ამოქმედება ხელს შეუწყობს რაიონის ბიუჯეტის შესრულებას.

აქტივის კრების მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველა ფრონტზე გააკეთებენ იმისთვის, რომ 1998 წელი ეკონომიკური გარდაქმნის მეორე ეტაპის კარგი დასაწყისი იყოს.

დავალიანება კოლოსალური თანხაა

□

დღეს როგორც რესპუბლიკაში, ისე რაიონში ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. უგვიანდება პენსიონერებს პენსიების, მუშა მოსამსახურეებს ხელფასის მიღება. ეს თავისთავად იწვევს მოსახლეობის გადახდის უნარიანობის დაქვეითებას. მაგრამ ეს არავის არ ათავისუფლებს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდისაგან.

რესპუბლიკაში ამჟამად ელექტროენერგიის დეფიციტია. ყველა რაიონსა და ქალაქს ენერგია მიეწოდება გრაფიკით და ხშირად გრაფიკის დარღვევითაც, რაც სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში.

ჩვენთან კი პირიქითაა. ეს ცალკეულ გამონაკლისს არ მიეკუთვნება მხედველობაში, რაიონს ენერგია სულ მცირეწოდება, რაც ლაჯანურჰესის დამსახურებაა. ამჟამად კი ლაჯანურჰესი რემონტშია და ენერგიას რაიონი ღებულობს საქენერგოდან და

ადრიცხვა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა სისტემატური კონტროლი დაწესონ ლიმიტით გამოყოფილი ელენერგიის ხარჯვაზე, არ დაუშვან გადახარჯვა.

დღეს მოსახლეობის [illegible] ნაწილს არ ესმის ენერგიის მომჭირნეობით

დიდი შეფერხებითაც.

დეფიციტის პირობებში საჭიროა რაიონის თითოეული მცხოვრები დაინტერესებული იყოს რაც შეიძლება ეკონომიურად ვხარჯოთ ენერგია, წესრიგში მოვიყვანოთ ხარჯვის

ხარჯვის არსი, გულგრილად და დაუდევრად ეკიდება ამ საქმეს. ჩართული აქვთ გამთბობი ხელსაწყოები, ხოლო დახარჯული ელენერგიის ღირებულებას არ იხდიან, რის გამოც იძულებული ვართ რაიონს ელენერგია მივაწოდოთ მეხლუდვით. გვყავს აბონენტები, უფრო სწორად ურჩი გადამხდელები, რომლებიც თვეობით არ იხდიან დახარჯული ელენერგიის ღირებულებას დიდი როდენობით დავალიანება ერიცხებათ: სოფელ ორბელიდან ბადრი ჩხეტიანს 173 ლარი, თამაზ ბურჯალიანს—233 ლარი, ძაძუ გვიშიანს—134 ლარი, ბესიკ ნემსწვერიძეს—126 ლარი, ბესალომ გვიდიანს—223 ლარი. სოფელ ოყურეშში ჭოჭია მუშკუდიანს—150 ლარი, ვანო მუშკუდიანს—146 ლარი, სოფელ ჩხუტელში შოთა გვიდიანს—129 ლარი, გოჩა მურცხვალაძეს—167 ლარი, ქვედა ცაგერში დავით ფუტკარაძეს—219 ლარი, იმედა მუშკუდიანს—239 ლარი, ბადრი შკუბულიანს—266 ლარი, ლუხვანოში ანზორ საღინაძეს—257 ლარი, ქალაქ ცაგერში სულიკო ცხვედიანს 123 ლარი, ენგელ ფრუიძეს—152 ლარი, ალექსანდრე მეშვილიანს—251 ლარი და ა. შ.

რაიონში ელენერგიის ძირითადი მომხმარებელი მოსახლეობაა. ამიტომ თუ მოსახლეობა არ გადაიხდის დახარჯული ელენერგიის ღირებულებას, ბუნებრივია, რაიონში ელენერგიის მოწოდების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

შარშან რაიონმა მოიხმარა 339165 ლარის ღირებულების ელენერგია, აქედან „საქენერგოს“ ეკუთვნოდა 255001 ლარი, აღნიშნული მოხმარებული ენერგიიდან მოსახლეობამ მოიხმარა 287609 ლარის ენერგია. ანუ მთლიანად მოხმარებული ელენერგიის თითქმის 85 პროცენტი. ჩათვლებით (პენსიებიდან, ხელფასებიდან დაქვითული თანხები) და ნაღდი გადახდით მოსახლეობიდან შემოსულმა თანხამ კი შეადგინა 185777 ლარი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩათვლებით შემოსული თანხა საკმარისი არ არის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელენერგიის ღირებულების დასაფარავად. ანალოგიური მდგომარეობა იყო წელს იანვარში. თვეში ერთმა ოჯახმა საშუალოდ მოიხმარა 8,5 ლარის ელენერგია, ჩათვლა-გადახდით კი ერთი ოჯახიდან შემოვიდა 2 ლარი. ყველასათვის ნათელია, რომ მარტო ჩათვლებს ვერ დავეყრდნობით და მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს დახარჯულის საზღაური.

რაიონში ენერგიის მიწოდების ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ თანხის გადახდაზე. სულ ენერგოკომპანიის დავალიანება ღღეისათვის შეადგენს 369389 ლარს, აქედან მოსახლეობის დავალიანებაა 259991 ლარი. დიდი დავალიანებები ირიცხება სოფლებზე: ლაილაში—5652 ლარი, ლაკორია—2126 ლარი, ორბელი—16636 ლარი, უსახელო—4820 ლარი, ლასურიაში—7552 ლარი, დიხვირი—2684 ლარი, მახაში—3277 ლარი, ოყურეში—3344 ლარი, აღვი—2666 ლარი, ჭალისთავი — 4047 ლარი, ხიფუ—[illegible] ქვედა ცაგერი—15913 ლარი, გვეს—3095 ლარი, ლაჯანა—3513 ლარი, ქალაქი ცაგერი—29532 ლარი.

დიდი დავალიანებების გამოა, რომ რაიონს ელენერგია მიეწოდება შეზღუდვით და თუ მაინც მიეწოდება, ეს განპირობებულია იმით, რომ ლაჯანურჰესი რაიონის ტერიტორიაზეა, თუ ღირებულების გადახდა გაუმჯობესდება, ელენერგიის მიწოდებაც გაიზრდება.

იმის გამო, რომ დახარჯული ელენერგიის ღირებულებას ვერ ვურიცხავთ ლაჯანურჰესს, ჰესის მუშა— მოსამსახურეებსაც გასული წლის აგვისტოდან არ მიუღიათ ხელფასები, რის გამოც ჰესის კოლექტივი არა ერთხელ გაიფიცა.

ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენს კოლექტივში. არ გაგვიცია 4 თვის ხელფასები, რადგან შემოსული თანხები ძირითადად მიმართულია „საქენერგოს“ ვალის დასაფარავად.

ყველა მომხმარებელმა უნდა გაითავისოს, რომ დენი ისეთივეა, როგორიც სხვა პირველი მოხმარების პროდუქტი, რომელსაც ჩვენი ოგანიზაცია ყიდულობს „საქენერგოდან“ (ანუ ლაჯანურჰესიდან) და ნაყიდი პროდუქციის ღირებულებას კი გადახდა უნდა.

ამოცანა ერთია—ვხარჯოთ ელექტროენერგია ეკონომიურად, გადავიხადოთ დახარჯულის ღირებულება და ამ შემთხვევაში შეძლებს ჩვენი კოლექტივი და ლაჯანურჰესიც გამართულ მუშაობას, რაც საწინდარი იქნება რაიონის ელენერგიით უზრუნველყოფისა.

ცაგუ ახვლედიანი,
სააქციო საზოგადოება „ლეჩხუმის“ დირექტორი.

ბაკო სიმბო, ღიმილი ყვავიდ ეს...

რთულ და ათასგვარი პრობლემებით აღსავსე დროში გვიჭირს როგორც ეკონომიურად, ისე სულიერად. სწორედ ამ დროსაა საჭირო გამხნევება, თანადგომა, სულიერი ამაღლებისთვის ზრუნვა. რაიონის გამგეობამ, პირადად გამგეობის თავმჯდომარემ გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, გამონახა საშუალება მოსწავლე — ახალგაზრდობის სახლთან, ქალთა რაიონულ საბჭოსთან ერთად დედის დღისა და 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოსაწყობად.

ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო 7 მარტს დედისა და ქალის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ყვავილებით, ტაბლეტულითა და ნუგბარით დამშვენებულ მაგიდებს ქალები უსხდნენ, აქვე იყვნენ ადრე აქტიურ ცხოვრებისეულ ფერხულში ჩაბმული, ამჟამად დამსახურებულ პენსიაზე მყოფი ქალბატონები, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ჯარგი და ღირსეული ქალ. ღვთის მადლით, გაცილებით მეტი გვყავს, ვიდრე იქ, იმ დარბაზში ქალთა დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე იყო წარმოდგენილი.

შეხვედრის მონაწილეებს წუთით დავიწყნოდათ ოჯახური თუ ცხოვრების ელვა ტვირთი, ღიმილი და სიამოვნება უკრთოდათ თვალებში. სასიამოვნო ატმოსფერო შექმნა სიტყვაუხვობითა და სასიამოვნო იუმორით შეზავებულმა ზეიმის გაძღოლამ, რაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნიჭიერმა ახალგაზრდა პედაგოგმა მარინე ბრეგვაძემ იტვირთა.

ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოძღვარმა მამა ილიამ (ილო კანკაძე) მიიღო რა ქალთა მოწვევა, მობრძანდა და დალოცა ზეიმის მონაწილეები. ყველას საეკლესიო, ბიბლიური ცხოვრებისაკენ მოუწოდა.

ქალებს დედის დღე და 8 მარტი მიულოცეს რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მელსი ყურაშვილმა, ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ მზევინარ ძნელაძემ, რაიონის გამგეობის განყოფილებათა გამგეებელმა — გულივერ ბრეგვაძემ და გულნაზ ჯობალიანმა, წაიკითხეს ზეიმზე მოწვეული დამსახურებული პედაგოგის, ცაგერის საპატიო მოქალაქის სამსონ ჯობალიანის მისალოცი.

სიმღერისა და მხიარულების განწყობილება მოეძალათ ზეიმზე მობრძანებულ ქალბატონებს. მღეროდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გოგონათა ანსამბლი, ვაჟთა ჯგუფი, მღეროდა ქალთა ტრიო, და სხვებიც, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

იყო პაექრობა ლექსის კითხვაში დათო სანთელაძის, დარეჯან საღინაძის, ნატო სილაგაძის, თამილა ჭაბუკიანის და სხვათა მონაწილეობით.

დალოცეს წყვილები, ახალიც და ძველიც, იქ მყოფნიც და იქ არ მყოფნიც. თითოეულ მილოცვასა თუ სადღეგრძელოს შესაბამისი მუსიკალური თუ სხვა ნომერი ეანაცვლებოდა.

ერთი სიტყვით, ქალთა ზეიმს მაღალ დონეზე შესრულებული საკონცერტო ნომრებით ჯარგი სიურპრიზი უძღვნეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ციური ანდღულიანი) ახალგაზრდელებმა და პედაგოგებმა.

დასასრულ ზეიმის მონაწილეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. ქალბატონები მადლობას იხდიდნენ მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და სიამოვნებისათვის.

აქ მთელი ქალებია მობილიზებული

ლასურიაშის საშუალო სკოლის შენობა. დგას იგი ეულად ცხენისწყლის ნაპირას. დგას ამაყი და არა ნრეულმხდარ. აქ ხომ ნორჩების საუფლოა, სიცოცხლისა და ცოდნის სავანე და სკოლა, სადაც ჩვენი შვილები ყალიბდებიან, წყალს კი არ გავატანოთ, გადავარჩინოთ, აღვადგინოთ ადგილზევე დავამკვიდროდ.

დღეს თითქმის მთელი ლეჩხუმია მობილიზებული ლასურიაშის საშუალო სკოლის შენობის გადარჩენა-აღდგენისათვის. შენობის განახლება-აღდგენა თითქოს არაა პრობლემა. მთავარია ავლაგმოთ ცხენისწყლის თავნებობა, წყალს კალაპოტი მივცეთ და შევქმნათ გარანტი არამც და არამც სკოლას არ დაემუქროს წყალი.

ლასურიაშის ცენტრი. აქ მობილიზებულია მანქანა-ტრაქტორთა პარკის (ხელმძღვანელი მერაბ ჩაკვეტაძე), № 23 საგზაო სამმართველოს (ოლეგ გიორგობიანი), ნაპირსამაგრი სამუშაოების ცაგერის უბნის (სოზარ სვანიძე) ტექნიკა, ყოველდღიურად მუშაობენ ბულდოზერები, კამაზის ტიპის მანქანები, თვითმცლელები, მოსახლეობა, დაახლოებით 50—60 კაცი მახაშიდან, ლასურიაშიდან, დიხვირიდან, სხვა სოფლებიდან. ყოველდღიურად ეზიდებიან წყნელს, 120 გრძივ მეტრზე უნდა გაკეთდეს 2 მეტრი სიმაღლის მამა-პაპური ჯიბირი, რომელიც დაიცავს სკოლას. სავარგულებს სტიქიისაგან. მშენებლებს, მთელ სოფელს, ყველას სჯერა, რომ მამა—პაპური ჯიბირები ყველაზე საიმედოა და ხანგრძლივი.

ხელმძღვანელებმა გვითხრეს, პარალელურად დაიწყება ჭალისთავის მიმართულებით ნაპირსამაგრი სამუშაოები. ამ სამუშაოს მოსახლეობა დაიწყებს, რა თქმა უნდა, ტექნიკის დახმარებით.

სოფლის ცენტრში მიმდინარეობს სასოფლო ხიდის მშენებლობა, რომელსაც ცაგერის საგზაო სამმართველო (ხელმძღვანელი შახმან გოგავა) აკეთებს. ხიდზე შვილერების დაწყობაზე იყვნენ დასაქმებული მშენებლები. როგორც გვითხრეს, ხიდის მშენებლობაც მალე დასრულდება.

ასე რომ, ნაპირსამაგრეს სამუშაოებზე მთელი ძალებია მობილიზებული.

იყიდება, იყიდება!

პრივატიზაცია

სახელმწიფო მართვის სამინისტროს ცაგერის რაიონული განყოფილება ახდენს აუქციონისა და კონკურსის ფორმით სახელმწიფო —საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების პრივატიზებას:

აუქციონის წესით იყიდება სოფელ ლაჯანის სკოლა—ინტერნატის უმოქმედო შენობა, ობიექტის საწყისი ფასი შეადგენს 1952.0 აშშ დოლარს.

აუქციონის წესით იყიდება, აგრეთვე, ცაგერის სახაზინო ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და სოფლის მეურნეობის სახაზინო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ეკონომიურად მიზანშეუწონელი ავტოტრანსპორტი (იხ. დანართი 1).

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა სახელმწიფო მართვის სამინისტროს ცაგერის რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინონ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში:

ა) განაცხადი აუქციონში მონაწილეობის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაწილეზე.

ბ) „ბე“ ს (საწყისი ფასის 10 პროცენტი) შეტანის ქვითარი.

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

დ) ბინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახით.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მყიდველი იღებს, მონაწილის ბილეთს, რომლის ფასს ადგენს გამყიდველი, რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს. თუ მონაწილე არ გამოცხადდა აუქციონზე, მას „ბე“ არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულმა თანხა შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაიხადოს ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

კონკურსის წესით იყიდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების უმოქმედო ობიექტები:

ქიმწმენდის საამქრო—ფასი 1256,7 აშშ დოლარი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 30 ადგილიანი კომბინატი ფასი 11263,3 აშშ დოლარი.

საკონკურსო პირობები:

ა) პროფილის შენარჩუნება და მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი მომსახურების გაწევა.

ბ) გარემოს დაცვის ღონისძიებების გატარება და ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინება.

გ) სახელშეკრულებო ვალდებულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადასახდელი საბოლოო ფასის არანაკლებ 51 პროცენტი თანხის 2 წლის განმავლობაში გადახდა დადგენილი გრაფიკის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიაში განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა წარადგინოს:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება, რომელშიც უნდა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

ბ) მყიდველის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში.

გ) „ბე“—ს შეტანის (ღირებულების 10 პროცენტი) დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტს:

აუქციონის, კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ცაგერის რაიონული განყოფილება, ტელეფონი 20—66.

დანართი № 1

№	ავტომანქანის დასახელება (მარკა)	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	გასაყიდი ფასი აშშ დოლარში
1.	ზილ—130	1264 გრგ	1974	454,2
2.	ზილ—130	6631 გაც	1981	529,0
3.	ზილ—130	6656 გაც	1981	529,0
4.	გაზ 53—01	6658 გაც	1980	454,2
5.	მმზ 4502	0893 გაც	1981	497,3
6.	მმზ 4502	0894 გაც	1981	497,3
7.	მმზ 4502	0895 გაო	1981	497,3
8.	მმზ 4502	0896 გაო	1980	497,3
9.	მმზ 4502	6653 გაც	1983	497,3
10.	მმზ 4502	6654 გაც	1983	497,3
11.	ზილ 157	6646 გაც	1985	531,3
12.	გაზ 53 ცისტერნა	6642 გაც	1980	520,2
13.	გაზ 53-12-01-100	1238 გრგ	1990	937,4
14.	გაზ 53 ბ	6645 გაც	1983	585,0
15.	საზ 3507	7516 გრბ	1988	650,0
16.	გაზ 53	6606 გაც	1985	604,6
17.	გაზ 53	7562 გრბ	1989	532,1
18.	საზ 3507	1263 გრბ	1987	520,0
19.	მმზ 555	6851 გრბ	1982	559,2
20.	მმმ 555	6853 გაო	1982	559,2
21.	მმზ 555	6849 გაო	1982	559,2
22.	მმზ 555	6850 გაო	1982	559,2
23.	მმზ 555	0809 გაო	1983	578,6
24.	მმზ 555	0845 გაო	1981	534,4
25.	მმზ 555	6664 გაც	1986	640,7
26.	მმზ 555	0547 გაც	1987	549,0
27.	მმზ 555	7504 გაც	1988	618,6
28.	მმზ 555	0891 გაგ	1985	513,7
29.	მმზ 555	0534 გაც	1984	487,5
30.	ზილ 130	68—95 გაბ	1975	362,1
31.	სახარატო ჩარხი დ—200		1962	148,0

ხსოვნა

ლია კოლიას ასული ფრუიძე—ჩხეტიანი

2 წელი გავიდა უშენოდ დედიკო, ცრემლი არ შემშრალა შენი სიბერეგამწარებული დედის, ქმარშვილისა და ყველა შენიანის თვალზე.

როგორ გიხაროდა სიცოცხლე! როგორ გიყვარდა ყველა, ნაადრევად წადი ამ ქვეყნიდან. 15 მარტს 41 წლისა გახდი. დაბადების დღე შენს წმინდა საფლავზე მოგილოცეთ. მოგიტანეთ ყვავილები, სიყვარული, სითბო. უხვად გაპკურეთ ალალ ცრემლს, ალბათ შეტორტმანდები საფლავში, ვერ მოისვენებ ქმარშვილისა და შენიანების დარდით. დედიკო უშენოდ ცარიელია და ცივი, ძალიან ცივი შენი სახლი. ძალიან გვიმძიმს უშენობა.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

მეუღლე კუჩია, შვილები ქეთინო და ნინო.

თამარ გალაქტიონის ასული ჩაჩხიანი

რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა: ზნეობისა და ნიჭიერების უცნაური შეზავების ნიმუში—თამარ გალაქტიონის ასული ჩაჩხიანი.

თ. გ. ჩაჩხიანი 1925 წელს დაიბადა სოფ. ლაილაშში, 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა ლაილაშის საშუალო სკოლა. 1947 წელს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ორბელის საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ლაჯანის სკოლა—ინტერნატის უფროს აღმზრდელად, ორბელის საშუალო სკოლის დირექტორად, უკანასკნელ წლებში იმავე სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო.

ავადმყოფობის გამო 4 წლის წინათ თავი დაანება სკოლაში მუშაობას სულით და სხეულით სრულყოფილმა მასწავლებელმა, რომელსაც თავის დროზე არ მოკლებია სახელი და დიდება, მიღებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებული იყო სახალხო განათლების წარჩინების სამკერდე ნიშნით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით, სხვადასხვა სახის დიპლომებითა და სიგელებით.

წავიდა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მისი სიტყვა და საქმე დააკლდა სკოლას, პედაგოგებს, რაიონს.

ცათა სასუფეველში დამკვიდრებულიყოს მისი ფაქიზი და მაღალი სული.

განათლების განყოფილება.

მოქალაქეთა ყავშირის ცაგერის რაიონული გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

თამარ ჩაჩხიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზუბის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ციცო, ვარლამ ჩაკვეტაძეებს დის

თამარ ალიმის ასულ ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრს შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 22-31.

გეჯდავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პოლიგრაფისტი“ 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56